

2015-2022

სტრატეგიული განვითარების გეგმა



შესავალი

აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) იზიარებს საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს, ითვალისწინებს უნივერსიტეტების მართვის წარმატებულ გამოცდილებას, მიზნად ისახავს შექმნას ისეთი სახის უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე და ამით გაიზიაროს თავისი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ მისი თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელი ინდიკატორია - უნივერსიტეტის ფორმალიზებული სტრატეგია, რომელშიც გაცხადებულია უნივერსიტეტის მისია და ხედვა, რაც მიჩნეულია მიზნებისა და ამოცანების ჩამოსაყალიბების საფუძვლად.

წინამდებარე სტრატეგია მიმართულია უნივერსიტეტის მიერ დასახული მიზნების გამჭვირვალედ და ჯეროვნად განხორციელებისათვის. მასში ასახულია უნივერსიტეტის პრიორიტეტები და ამოცანები, სამოქმედო კურსი, ტენდენციები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დასახული მიზნების რეალიზების ვადები, საშუალებები და მათი შედეგები. წინამდებარე უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია მოიცავს ასევე სამწლიან სამოქმედო გეგმას, რომელშიც ასახულია დეკლარირებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისათვის დაგეგმილი კონკრეტული აქტივობები.

გარე ზემოქმედების გაუთვალისწინებელი ცვლილებების შესაბამისად, პერიოდულად გადაიხედება უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია, რომლის მოდიფიცირებაში მონაწილეობას მიიღებენ უნივერსიტეტის სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები და გათვალისწინებული იქნება თანამშრომლების ყველა საქმიანი წინადადება..



EEU მისია

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია არის:



სტუდენტთა სწავლება ადგილობრივი და საერთაშორისო შრომითი ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებასა და პროფესიული კარიერის განვითარებას;



სწავლებისა და კვლევის ინტეგრირება და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვა;



ზრუნვა პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;



დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული, ნაყოფიერი საგანმანათლებლო და კომფორტული საურთიერთობო გარემოს შექმნა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

EEU ხედვა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხედვა:


ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებულ, საერთაშორისო დონის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებად ჩამოყალიბება.

EEU ღირებულებები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ძირითადი ღირებულებები:


პროფესიონალიზმი, ინოვაციურობა, ღიაობა და ფართო კოოპერაცია.

სტრატეგიული განვითარების ძირითადი მაჩვენებლები



სტრატეგიული
განვითარების კონტექსტი

უნივერსიტეტი თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე ორიენტირებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე, ამ მოცემულობისა და ეროვნულ ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის სტრატეგიული გადაწყვეტილებაა - პრორიტეტი იყოს სწავლების ხარისხი და მუდმივი ზრუნვა მისი ამაღლებისათვის და ამ მიდგომით თავის დაიმკვიდრება საგანმანათლებლო სივრცეში.



უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები

EEU

საგანმანათლებლო პროგრამები და ინტერნაციონალიზაცია:



საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (მათ შორის: სადოქტორო, და ერთსაფეხურიანი პროგრამების), მოდიფიცირება და განვითარება



საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის უცხოენოვანის) შემუშავებისას, წარმატებული საერთაშორისო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების მოდელისა და სპეციფიკის გათვალისწინება



პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება



საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.



საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა



სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა



შიდა საუნივერსიტეტო კვლევების განხორციელება, ანალიზი და საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება



სწავლების მეთოდის მუდმივი განახლება და აღნიშნულ პროცესში საერთაშორისო გამოცდილების მიღება/გამოყენება



სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და მათი მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესება



პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება, არსებულის შენარჩუნება და დამსაქმებლების უფრო მეტი დოზით სწავლების პროცესში ჩართულობა



კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა, მათი ორგანიზაციული ფორმით ჩამოყალიბების ხელშეწყობა



კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და დასაქმების სტატისტიკის მუდმივი განახლება



საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციების შემუშავება, არსებულის გაუმჯობესება/დახვეწა

EEU

სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა:



ზრუნვა სასწავლო ფართის მომატებაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ახალი ფართის შექმნა და ახალი სასწავლო კამპუსის გახსნა, გაუმჯობესებული ბიბლიოთეკა და სერვისები;



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება;



უნივერსიტეტის მატერიალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;



სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ფინანსური და საქმის წარმოების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა;



უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება/განვითარება; სხვადასხვა ელექტრონული პორტალების, აპლიკაციებისა და სხვა საშუალებებით სერვისების გაზრდა



უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება და საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება



სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა და ვიზუალური ლექციების სრულყოფა, ტრანსფერული უნარების გამომუშავება



საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა. რიდერების დამუშავება, სახელმძღვანელოს გამოცემა, უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნა და ა.შ.



ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური აქტივობების ორგანიზება: კვლევით გრანტებში მონაწილეობა, სამეცნიერო კრებულის გამოცემა, კონფერენცია/სემინარების მოწყობა და ა.შ.



სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, მხარდამჭერი მექანიზმების შექმნითა და ფინანსური უზრუნველყოფით სათანადო ინფრასტრუქტურისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

EEU

პერსონალი და პროფესიული განვითარება:



პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა



აკადემიური პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი მექანიზმების შექმნა, კვალიფიცირებული პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირებით დაინტერესებისა



აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა



საერთაშორისო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ჩართვა საუნივერსიტეტო პროცესებში, პროგრამების განხორციელებაში, სწავლის მეთოდების გამოცდილების გაზიარებასა და კვლევითი საქმიანობაში.



ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის განვითარება და თანამედროვე პერსონალ-ტექნოლოგიების დანერგვა.



ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება (ტრენინგ-კურსები, უწყვეტი განათლების პროგრამები და ა.შ.)

EEU

ადმინისტრირება და ინსტიტუციური განვითარება:



წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, სტუდენტებისა და პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა



ჯანდაცვის ფაკულტეტის შექმნა, სამედიცინო ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარება და ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელება



პერსონალის მართვისა და საკადრო პოლიტიკის შემუშავება. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის გატანა აუტოსორსინგზე.



ინფორმაციული

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის პოლიტიკის შემუშავება.



მართვის ელექტრონულ სისტემებთან დაკავშირებული საქმიანობის აუტოსორსინგზე გატანა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და თანმიმდევრული იმპლემენტაცია.



ორგანიზაციული მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და თანმიმდევრული იმპლემენტაცია;



უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასების სიტემის დანერგვა, რომელიც დაეყრდნობა კომპლექსურ და პროცედურულ მიდგომებს, დაფუძნებულს დაგეგმვის, საქმიანობის, შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე (PDCA ციკლი).



კვლევითი ცენტრის შექმნა, ლაბორატორიების დაფუძნება:

1. მრავალფუნქციური აქსელერატორი
2. ქცევის შემსწავლელი ლაბორატორია;
3. კვლევითი საპროექტო ბიურო.



საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შიდა შეფასების მექანიზმების განვითარება,



სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და რეკომენდაციების შემუშავება



უნივერსიტეტის პროდუქტის (ხარისხიანი განათლება) მომხმარებლისათვის (სტუდენტი) შეთავაზების ეფექტიანი მეთოდებისა და ფორმების შემუშავება და განვითარება



სამედიცინო ლაბორატორიების განვითარება და რაოდენობის გაზრდა. საკუთარი სამედიცინო კლინიკის გახსნა



ინსტიტუციური ვალიდაცია საერთაშორისო უნივერსიტეტთან

სტრატეგიული განვითარების გეგმის გრაფიკი

2015 წლის იანვრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით

#	ამოცანები	ვის მიერ/პასუხისმგებელი*	ვადები	მოსალოდნელი შედეგი
სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა:				
1	ზრუნვა სასწავლო ფართის მომატებაზე და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ახალი ფართის შექმნა და ახალი სასწავლო კამპუსის გახსნა, გაუმჯობესებული ბიბლიოთეკა და სერვისები.	რექტორი, პარტნიორთა კრება, წარმომადგენლობითი საბჭო, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	2015-2022	სტუდენტებისა და პერსონალისათვის უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და კომფორტული გარემო.
2	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება;	რექტორი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	2017-2020	საბიბლიოთეკო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა; ადაპტირებული გარემოს განვითარება.
3	ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური აქტივობების ორგანიზება: კვლევით გრანტებში მონაწილეობა, სამეცნიერო კრებულის	რექტორი, ვიცე-რექტორი სამეცნიერო დარგში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ფაკულტეტები, საფინანსო სამსახური	2015-2022	კვლევების ხარისხის ამაღლება, სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევართა დაინტერესება. სამეცნიერო პოტენციალის განვითარება, მათი კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობა.

	გამოცემა, კონფერენცია/ვორკშოპი/სემინარების მოწყობა და ა.შ.			
4	სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, მხარდამჭერი მექანიზმების შექმნითა და ფინანსური უზრუნველყოფით სათანადო ინფრასტრუქტურისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელება.	რექტორი, ვიცე-რექტორი სამეცნიერო დარგში, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი	2016-2022	კვლევითი პროექტების გაზრდა. კვლევითი პოტენციალის ამაღლება და განვითარება. ახალგაზრდა მკვლევართა და მეცნიერთა მოზიდვა, მოტივაციის გაზრდა.
5	უნივერსიტეტის მატერიალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება	რექტორი, საფინანსო და ვიცე-რექტორი, მატერიალური რესურსების მართვის სამსახური	2015-2022	ახალი ინვენტარი/ტექნიკა, თანამედროვე სწავლების მეთოდებისა და სტანდარტების განხორციელებისათვის შესატყვისი საშუალებები და ინსტრუმენტები
6	სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, ფინანსური და საქმის წარმოების ერთიანი ელექტრონული ბაზის შექმნა;	რექტორი, კანცელარია, ვიცე-რექტორი, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი, კანცელარია	2018-2019	საქმის წარმოების ოპერატიულობა და ორგანიზაციაში შემუშავებულ დოკუმენტთა ბრუნვის ელექტრონული წარმოება, ფინანსური რისკების შემცირება, სტუდენტთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება. სასწავლო, საფინანსო და საქმის წარმოების მოქნილი და თანამედროვე სისტემა;

7	<p>უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება/განვითარება. სხვადასხვა ელექტრონული პორტალების, აპლიკაციების და სხვა საშუალებებით სერვისების გაზრდა.</p>	<p>რექტორი, ვიცე-რექტორები*, საზოგადოებრივი აქტივობებისა და კომუნიკაციის სამსახური</p>	<p>2015-2022</p>	<p>ვებ-გვერდის გამოყენების გააქტიურება და ელექტრონული მომსახურების სერვისების გაზრდა გამოიწვევს უნივერსიტეტისა და მის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული მომხმარებლის უნივერსიტეტის სერვისებით მიღებით კმაყოფილებას.</p>
8	<p>უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება და საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება</p>	<p>ვიცე-რექტორები, ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა, საფინანსო, მატერიალური რესურსების მართვისა და დეპარტამენტი</p>	<p>2015-2022</p>	<p>ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზების განახლება, განახლებული ლიტერატურის შეთავაზება და თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების დანერგვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ღონისძიებების დაგეგმვა, სტუდენტების განვითარებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.</p>
9	<p>სასწავლო მასალის ელექტრონული ბაზის შექმნა და ვიზუალური ლექციების სრულყოფა, ტრანსფერული უნარების გამომუშავება,</p>	<p>წამომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, ფაკულტეტები, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, ბიბლიოთეკა</p>	<p>2015-2021</p>	<p>ვიზუალური ლექციების გამოყენება სასწავლო პროცესში დადებითი ეფექტი სტუდენტის მიერ მასალის აღქმადობის, სწრაფად გაანალიზებისა და დამახსოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით. ვიზუალური ლექციების მეშვეობით თეორიული საკითხების პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობა.</p>
10	<p>საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალის შექმნა/გამოცემა:</p>	<p>რექტორი, წამომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორი, ხარისხის</p>	<p>2018-2022</p>	<p>სტუდენტის დროის ეფექტიანად გამოყენება. ამ მასალების მეშვეობით</p>

<p>რიდერების დამუშავება, სახელმძღვანელოს გამოცემა, უცხოური ლიტერატურის ქართულად თარგმნა და ა.შ.</p>	<p>უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, ფაკულტეტები, აკადემიური პერსონალი, საფინანსო სამსახური</p>		<p>სტუდენტის მიერ სასარგებლო და საჭირო ინფორმაციის ათვისება, რომელიც თავისი შინაარსით თანმიმდევრულად უპასუხებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და სტუდენტს მიაწოდებს იმ მოცულობით ინფორმაციას, რაც მას საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად სჭირდება.</p>
---	---	--	---

პერსონალი და პროფესიული განვითარება

<p>1 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა</p>	<p>რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უწყვეტი განათლების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>2015-2022</p>	<p>პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების შედეგად უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებას.</p>
<p>2 აკადემიური პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიზნით მხარდამჭერი მექანიზმების შექმნა, კვალიფიცირებული პერსონალის უნივერსიტეტთან აფილირებით დაინტერესებისა</p>	<p>რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>2017-2020</p>	<p>კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის პოლიტიკის შემუშავებაში და აამაღლებს კვალიფიციური პერსონალის მოტივაციას, მოწვეული და არააფილირებული კადრების დაინტერესებას. ასევე, აკადემიური პერსონალის წახალისებას, მოტივირებასა და საუნივერსიტეტო</p>

				და კვლევით საქმიანობაში მაღალი ხარისხით ჩართულობის უზრუნველყოფას.
3	აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური, უწყვეტი განათლების სამსახური, საფინანსო სამსახური	2017 - 2019	მხარდაჭერის მექანიზმების საშუალებით აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პერსონალის პერიოდული გადამზადებისა და მოტივაციის ამაღლების პროგრესული სისტემის შექმნა.
4	საერთაშორისო უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ჩართვა საუნივერსიტეტო პროცესებში, პროგრამების განხორციელებაში, სწავლის მეთოდების გამოცდილების გაზიარებასა და კვლევითი საქმიანობაში.	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური	2015- 2022	საგანმანათლებლო პროგრამებისა და უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის განვითარება. უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაზრდა და კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად რეალიზება. დოქტორანტებისა და მაგისტრანტების კვლევითი უნარების განვითარება.
5	ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის განვითარება და თანამედროვე პერსონალ-ტექნოლოგიების დანერგვა.	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის	2018 - 2019	პერსონალის მართვისა და საკადრო თანამედროვე პერსონალ-ტექნოლოგიების გამოყენებით თანამშრომლების პოტენციალის ამაღლება, სრულად და ეფექტიანად გამოყენება და სტუდენტების და თანამშრომლების კმაყოფილების

		სამსახური		დონის გაზრდა.
6	ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება (ტრენინგ-კურსები, უწყვეტი განათლების პროგრამები და ა.შ.)	რექტორი, ვიცე-რექტორები, უწყვეტი განათლების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამსახური	2017-2022	ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული უნარების განვითარება. მომსახურებისა და ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება. ადმინისტრაციულ პერსონალს გამოუმუშავდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ეფექტიანი მართვისა და მომსახურების უნარები.
საგანმანათლებლო პროგრამები და ინტერნაციონალიზაცია				
1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება (მათ შორის: სადოქტორო, და ერთსაფეხურიანი პროგრამების), მოდიფიცირება და განვითარება	წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, გარე შემფასებლები	2015-2022	შრომის ბაზარზე მოთხოვნის გათვალისწინებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადება. დაწესებულების მიერ უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვება. მეცნიერებაში კვალიფიციური მკვლევარებისა და ახალგაზრდების მოზიდვა. საუნივერსიტეტო პროცესების განვითარება, უნივერსიტეტის შიდა შესაძლებლობების რეალიზაცია, გაზრდა და საერთაშორისო გამოწვევებზე რეაგირება.
2	საგანმანათლებლო პროგრამების (მათ შორის უცხოენოვანის) შემუშავებისას წარმატებული	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორი ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევებისა	2016 - 2019	სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და ორმაგი ხარისხის/ორი დიპლომის მიღების შესაძლებლობა საშუალებას

	საერთაშორისო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების მოდელისა და სპეციფიკის გათვალისწინება,	და განვითარების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები, დამსაქმებლები		მისცემთ კიდევ უფრო მაღალ დონეზე დაუფლონ ცოდნას და გაიუმჯობესონ უნარები, რომელიც სჭირდებათ მომავალში შრომის ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად.
3	პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების და უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა, ერთობლივი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება	რექტორი, ვიცე-რექტორი ფაკულტეტები, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,	2016-2022	ინტერნაციონალიზაციის პროცესი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სწრაფი ტემპებით განვითარების პროცესს და გახდის კონკურენტუნარიანს საერთაშორისო ბაზარზე.
4	საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის გაზრდა, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.	რექტორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2015-2022	შრომის ბაზრის ფართო კვლევა და კვლევისგან მიღებული მონაცემების შედეგად პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება/განვითარება.
5	საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმის დახვეწა	წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2015-2022	შეფასების მექანიზმების დახვეწა უზრუნველყოფს პროგრამის შეფასებასა და სწავლების ხარისხის დონის განსაზღვრას. გააზრებული, ობიექტური, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული შეფასების მექანიზმი იძლევა სწორი ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას.
6	სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემის დახვეწა	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის	2015-2022	შეფასების სისტემის დახვეწა ხელს შეუწყობს შეფასების იმგვარი ინსტრუმენტებისა და კრიტერიუმების დანერგვას,

		სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ფაკულტეტები		რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტის შემდგომი განვითარება და მისი მოტივაციის ზრდა.
7	შიდა საუნივერსიტეტო კვლევების განხორციელება, ანალიზი და საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ფაკულტეტები	2015-2022	სწავლის შედეგების რელევანტური შეფასება პირდაპირპროპორციულია სტუდენტისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის ვალიდურობის დასადგენად და მისი მზაობის განსასაზღვრად შრომის ბაზარზე გასასვლელად. შეფასების კრიტერიუმების დახვეწის შედეგი იქნება სტუდენტის სრულყოფილი მზაობა შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნებისადმი
8	სწავლების მეთოდის მუდმივი განახლება და აღნიშნულ პროცესში საერთაშორისო გამოცდილების მიღება/გამოყენება	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2015-2022	სტუდენტის მიღწევები რელევანტური იქნება არსებული მოთხოვნებისადმი, როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე უპასუხებს შრომის ბაზარზე არსებულ გამოწვევებს.
9	სტუდენტთა მომსახურების სერვისების გამრავალფეროვნება და მათი მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესება	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, ფაკულტეტები,	2015-2022	სტუდენტის საჭიროებებზე დაფუძნებული მრავალფეროვანი სერვისები და ეფექტიანი კონსულტირების სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა კმაყოფილებისა და მოტივაციის გაზრდას და ტრანსფერული უნარების განვითარებას.
10	პოტენციურ დამსაქმებლებთან ახალი ურთიერთობების დამყარება, არსებულის	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის	2015-2022	უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის შეფასება დამსაქმებლის, როგორც გარე შემფასებლის მხრიდან.

	შენარჩუნება და დამსაქმებლების უფრო მეტი დოზით სწავლების პროცესში ჩართულობა	სამსახური		სტუდენტებისათვის პარტნიორ ორგანიზაციებში, როგორც პოტენციურ დამსაქმებლებთან მომავალი დასაქმების პერსპექტივის შექმნა. სტუდენტებისათვის, პრაქტიკისა და სტაჟირების განსახორციელებლად მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება.
11	კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა, მათი ორგანიზაციული ფორმით ჩამოყალიბების ხელშეწყობა	ვიცე-რექტორი, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, ფაკულტეტი	2016-2019	კურსდამთავრებულებთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება. მათთვის განახლებული ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობასთან/ვაკანსიასთან დაკავშირებით, დასაქმების ხელშეწყობა,
12	კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და დასაქმების სტატისტიკის მუდმივი განახლება	ვიცე-რექტორი, სასწავლო პროცესის მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური,	2016-2022	კურსდამთავრებულთა შემდგომი აკადემიურ და პროფესიულ წინსვლაზე ზრუნვა. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შრომითი ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინება და შესაბამისად, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/გაუმჯობესება.
13	საგანმანათლებლო საქმიანობის რეგულაციების შემუშავება, არსებულის გაუმჯობესება/დახვეწა	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, იურდიული სამსახური	2015-2022	ეფექტიან და ხარისხიან მომსახურებაზე ორიენტირებული დებულებები, ინსტრუქციები უზრუნველყოფს უნივერსიტეტის წარმატებულ მართვასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

14	საერთაშორისო პროგრამული აკრედიტაციის მინიჭება	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები	2020-2022	უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების საერთაშორისო აღიარება, სტუდენტებისათვის დამატებითი სტიმულის მინიჭება, დაწესებულების საერთაშორისო იმიჯის ამაღლება
----	---	---	-----------	---

ადმინისტრირება და ინსტიტუციური განვითარება:

1	წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, სტუდენტებისა და პარტნიორი დამსაქმებელი ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამსახური,	2015-2022	უნივერსიტეტის მართვასა და ხარისხის განმავითარებაში წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის გაძლიერებით ერთპიროვნულად მიღებული გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული რისკების შემცირება. სუსტი და ძლიერი მხარეების ობიექტური შეფასება და შესაბამისი რეაგირება.
2	ჯანდაცვის ფაკულტეტის შექმნა, სამედიცინო ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა/განვითარება და ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელება	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებლივი უზრუნველყოფის სამსახური, საფინანსო სამსახური	2016-2022	ჯანდაცვის ფაკულტეტის შექმნით მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა და კონკურენტუნარიანი კადრების აღზრდა, საერთაშორისო შრომის ბაზარზე უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება.

3	პერსონალის მართვისა და საკადრო პოლიტიკის შემუშავება. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობის გატანა აუთსორსინგზე.	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური	2018 - 2019	ადამიანების მენეჯმენტთან დაკავშირებული პროცესების მართვის მაღალ დონეზე გახორციელებისა და თანამშრომლების მიერ გაწეული საქმიანობის ყოველმხრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
4	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის პოლიტიკის შემუშავება.	ვიცე-რექტორი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი,	2015- 2022	ინფორმაციული უსაფრთხოების და დაცულობის გაზრდა. სტუდენტებისა და პერსონალისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით სერვისების შეთავაზება ორგანიზაციული მართვის დონის ამაღლება.
5	მართვის ელექტრონულ სისტემებთან დაკავშირებული საქმიანობის აუთსორსინგზე გატანა, თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და თანმიმდევრული იმპლემენტაცია.	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი,	2018- 2019	კომპიუტერული სისტემებისა და ქსელის დაცულობის უზრუნველყოფა ახალი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვა და საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრირება. ერთიანი საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება. სტუდენტთა მომსახურების და ადმინისტრირების პროცესის გაუმჯობესება.
6	ორგანიზაციული მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და თანმიმდევრული იმპლემენტაცია,	რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	2015- 2022	

7	<p>უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასების სიტემის დანერგვა, რომელიც დაეყრდნობა კომპლექსურ და პროცედურულ მიდგომებს, დაფუძნებულს დაგეგმვის, საქმიანობის, შეფასებისა და გაუმჯობესების ციკლზე (PDCA ციკლი).</p>	<p>რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების სამსახური</p>	<p>2017-2022</p>	<p>მართვის ეფექტიანობის შეფასება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ელემენტია და მისი განვითარება სისტემის ეფექტიანად მუშაობა ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო/კვლევითი პროცესების წარმართვას, რითაც უზრუნველყოფილია ორგანიზაციის მდგრადობა და განვითარების თანმიმდევრული დინამიკის შენარჩუნება.</p>
8	<p>კვლევითი ცენტრის შექმნა.</p> <p>ლაბორატორიების დაფუძნება:</p> <p>1. მრავალფუნქციური აქსელერატორი</p> <p>2. ქცევის შემსწავლელი ლაბორატორია;</p> <p>3. კვლევითი საპროექტო ბიურო.</p>	<p>რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი</p>	<p>2016 - 2019</p>	<p>უნივერსიტეტის, ბიზნესისა და კვლევის ერთმანეთთან უწყვეტი კავშირის შექმნა თითოეულის აქტიური ჩართულობით.</p> <p>პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევების განხორციელება სტუდენტებისა და კომპანიების/ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს კვლევის შედეგების რეალიზებას, კვლევების და სტუდენტების კვლევითი პოტენციალის ამაღლებას.</p>

9	<p>სამედიცინო ლაბორატორიების განვითარება და რაოდენობის გაზრდა.</p> <p>საკუთარი სამედიცინო კლინიკის გახსნა.</p>	<p>რექტორი, პარტნიორთა კრება, წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტი, საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი</p>	<p>2018-2022</p>	<p>სამედიცინო მიმართულებით კვლევითი პოტენციალისა და პრაქტიკის სწავლების ხარისხის გაზრდა და სასწავლო პროცესის ხარისხის დონის ამაღლება.</p> <p>სტუდენტებისა და პერსონალისათვის უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ინფრასტრუქტურა და კომფორტული გარემო.</p>
10	<p>საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შიდა შეფასების მექანიზმების განვითარება,</p>	<p>რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური</p>	<p>2015-2022</p>	<p>მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემის გამოყენება სასწავლო პროცესისა და ადმინისტრირების ხარისხის გასაუმჯობესებლად.</p>
11	<p>სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და რეკომენდაციების შემუშავება</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური</p>	<p>2015-2022</p>	<p>სტატისტიკური მონაცემების გამოყენება სასწავლო პროცესისა და ადმინისტრირების ხარისხის გასაუმჯობესებლად.</p>

12	<p>უნივერსიტეტის პროდუქტის (ხარისხიანი განათლება) მომხმარებლისათვის (სტუდენტი) შეთავაზების ეფექტიანი მეთოდებისა და ფორმების შემუშავება და დახვეწა.</p>	<p>რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>2015-2022</p>	<p>სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, კარიერული მხარდაჭერის სერვისების შექმნა, თემატური კონფერენციებისა და ღონისძიებების მოწყობა/განხორციელება, კვლევითი ინფრასტრუქტურის გამუმჯობესება.</p>
13	<p>ინსტიტუციური ვალიდაცია საერთაშორისო უნივერსიტეტთან</p>	<p>რექტორი, წარმომადგენლობითი საბჭო, ვიცე-რექტორები, სტრუქტურული ერთეულები,</p>	<p>2018-2021</p>	<p>ხარისხის განვითარება, საერთაშორისო აღიარება, უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლება</p>